სამშობლო

შაბათი
14 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გა[illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 223 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 223

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ხუთშაბათს, 12 ნოემბერს, პარასკევს, 13 ნოემბერს, და კვირას, 15 ნოემბერს
მხოლოდ 3 დღით ახალი ფართო პროგრამა
ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ამბები.
განსაკუთრებით მხოლოდ მოზრდილთათვის სენსაცია!

ყველას ჩვენ გვწყურია სიყვარული

პიკანტური ფარსი 2 ნაწ., სატახტო ქალაქის არტისტების მონაწილეობით.

მილიონების გიპნოზის გავლენის ქვეშ.

მე 15 სერია. პერლ ვაიტის მონაწილეობით.

შაბათს, 14 ნოემბერს გაიმართება **საქველმოქმედო სეანსები** ახალი პროგრამით.

ანონსი: ორშაბათიდან ნაჩვენები იქნება **მონა**, თანამედროვე დრამა 4 ნაწ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი **ი. ხარაძე** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი

მ. მგელაძე—გალიცკისა

ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ელ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა სახლი თ[illegible]ლორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისთვის, უმაღლეს დაწყებითს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს**, ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი **რ. პ. სვანიძე-ასული**

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

თავზარდაცემული მეუღლე **ბარბალე მაქსიმეს ასული ჭეიშვილისა** და შვილები: **ოლღა, ნიკოლოზ და ალექსანდრე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ სიმონის ძის ჭეიშვილის

სულის მოსახსენებლათ, დანიშნულია, 14 ნოემბერს, დილის 10 საათზე მთავარანგელოზის ეკლესიაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე

2—2—6002

ძმები ზაქარია, ივანე და გრიგოლ ბუტულაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 15 ნოემბერს სამებთა წმ. გიორგის ეკლესიაში ნაწირვებს $11^{1}/_{2}$ საათზე დანიშნულია წლის თავის პანაშვიდი სულის მოსახსენებლათ, ძვირფასი დედის

ბარბალე სიმონის ასულის
ბუტულაშვილისა.

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., **მ. კვინიხიძის** ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

გამოცდილი რეპეტიტორი **ამზადებს და უსწორებს გაკვეთილებს** ყველა კლასის მოსწავლეებს შეღავათიან ფასებში.
მისამართი: „სამშობლოს“ რედაქციაში 6—4—5083

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 12 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. გუშინ, საღამოთი, გერმანელები ცდილობენ კამერისკენ წინ წაწევას, მაგრამ უკუვაქციეთ. ბერზემხუნდესთან ბრძოლა გრძელდება. ამ რაიონში მაღლობის აღების დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ ასზე მეტი გერმანელი და 6 ტყვიის მტყორცნელი. სვენტენის ტბის სამხრეთ-დასავლეთ წვერთან ჩვენმა ჯარმა ხელ-ახლათ წაიწია წინ. მტერმა აქ მეორეჯერ უნაყოფოთ მოიტანა იერიში ახლახან ჩვენ მიერ აღებულ თხრილებზე. სმორგონის რაიონში მოპირდაპირის არტილერიამ რამდენსამე ადგილს ცეცხლი გააძლიერა. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, მდ. სტრუმენის მარჯვენა ნაპირის რაიონში, მტერმა იერიში მოიტანა სოფელ კომარაზე, მაგრამ უკუ ვაქციეთ. მდ. სტირის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელი იმოდჩეროვიჩი, რომელზეც მტერმა იერიში მოიტანა, რამდენიმე შეტაკების შემდეგ, ჩვენს ხელში დარჩა. სოფ. სემკოვცის რაიონში მდ. სტრიპზე, ჩვენმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს მტერზე და სდევნა იგი მდინარემდი. მდინარესთან მიმწყვდეული მტერი ამოვსწყვიტეთ ცეცხლით, ნაწილი დაიღუპა წყალში. ბრძოლის ველზე დარჩა 100 გვამამდი დახოცილ და მძიმეთ დაჭრილ ჯარის კაცისა. დანარჩენ ფრონტზე გალიციაში ალაგ-ალაგ საარტილერიო ბრძოლა ცხოველდება. შენიშნულია, რომ მტერი ხმარობს ცრემლ მოსადენ ნივთიერებას სროლის დროს.

კავკასიის ფრონტი. ცვლილება არ მომხდარა.

(დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე 4 გვ.)

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სერბიის მდგომარეობა,

გაზეთ „სოკოლო“-ს სამხედრო თანამშრომელი, მაგრინი დეპეშით იტყობინება რომიდან, რომ სერბიის მდგომარეობა, მართალია, ძლიერ სერიოზულია, მაგრამ არც ისე უნუგეშოა, რადგანაც სერბიის ჯარმა, სრულის ხელშეუხებლობით შეინარჩუნა თავისი საომარი სიძლიერე და მამაცობა.

„სოკოლო“-ს სალონიკელი კორესპონდენტი, რომლის დეპეშებსაც მაკედონიიდან პარიზისა და ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს, დეპეშით იტყობინება: რადგანაც სერბიელებმა ბაბუნის მთის გასასვლელები დაიკავეს, საერთო მდგომარეობა სერბიის ჯარისა სამხრეთ—აღმოსავლეთ ნაწილში მაკედონიის ფრონტისა, რამოდენიმეთ გამოკეთდაო.

ძველი სერბიიდან სალონიკში უკვე რამდენიმე დღეა არავითარი ცნობები არ მოსულა. როგორცა სჩანს, იქ მომქმედი რაზმები მოწყვეტილი უნდა იყვნენ გენერალურ შტაბს.

მეორე დეპეშში, მილანური გაზეთების რედაქციით, დიდი დაგვიანებით და პირდაპირ-მონასტირიდან გამოგზავნილი, იტყობინება, რომ სერბიისა და საფრანგეთის ჯარის გადასვლა იერიშებზე უნდა მომხდარიყო ოთხ ნოემბერს, რადგანაც ამ დრომდი საფრანგეთის ჯარის გეგმა იყო ბაბუნის რაიონში შეტევით შეეჩერებინა ბულგართა ჯარი, ვიდრე საფრანგეთისა და სერბიის ჯარი შეერთდებოდა და 4 ნოემბრამდი კი ამ გეგმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყოვო.

ძველ სერბიაში ავსტრო-გერმანელებმა მოსავლის უდიდესი ნაწილი ხელში ჩაიგდეს, ხოლო ბელგრადში, ნიშსა და კრაგუევაცში—სპილენძის უდიდესი ნაწილი.

პოლკოვნიკ გედკეს აზრი.

ცნობილი გერმანელი სამხედრო მიმომხილველი პოლკ. გედკე, არკვევს რა ბალკანეთის ფრონტზე საქმის გარემოებას „ფორვერტს“-ში სწერს: „რკინის რგოლი, რომელიც უნდოდათ მოკავშირეებს გერმანეთზე შემორტყმა, გაწყვეტილია. ამ გვარათ ჩვენი სტრატეგიული საზღვრები აღწევენ მესოპოტამიასა და სინაის ნახევარ კუნძულს. მოკავშირე ინგლის-საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი ჯერ ისევ სამხრეთ მაკედონიაში იმყოფება საბერძნეთის საზღვრის ახლოს, და დიდის გაჭირვებით იგერიებს ბულგართა შეტევას, მაშინ როდესაც ფელდმარშალ მაკენზენის ჯარი ჯერ ისევ ოქტომბრის გასულს გადავიდა დასავლეთ მორავას და წამოიყვანა საერთო რიცხვით 25 ათასი ტყვე და 150 ზარბაზანი. მაკენზენის ჯარის მარჯვენა ფრთა ემუქრება სერბიის ჯარის უკან დახევას ჩერნოგორიისა და ალბანეთის საზღვრებისაკენ. ბულგარლებს უპირავთ ხელში პიროტი და ნიში უკვე მიაღწიეს სამხრეთ მორავის ველამდი და ამგვარათ აღადგინეს მიმოსვლა ვენა-ბუდაპეშტ—სოფიის შუა.

შემდეგ ანალიზს უკეთებს ოქტომბრის ბრძოლებს დასავლეთ და აღმოსავლეთის ფრონტებზე მომხდარს, რომელსაც, მისი აზრით, არა მარტო სტრატეგიული, არამედ პოლიტიკური მიზანიც ჰქონდა, და გედკე ასე დაასკვნის:

ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ შეტევითი ცდები ჩვენის მოწინააღმდეგეებისა ბრძოლის ყველა ველზე სასურველ დადებით შედეგს ვერ აღწევდა, მაშინ როდესაც ჩვენი შეტევები ბალკანეთის ფრონტზე სრულის წარმატებით დაგვირგვინდა.

ოთხთა შეთანხმების გამოსვლა ათინაში.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩებმა ოთხთა შეთანხმების სახელით წინადადება მისცეს საბერძნეთის მთავრობას.

ინგლის-საფრანგეთის ესკადრა და იტალიის სამხედრო გემები სალონიკს სდარაჯობენ. ესკადრის ნაწილი პირეის ახლოს უკვე გაჩნდა.

ბალკანეთის ამბები.

რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის წარმომადგენლებმა მიწერილობა მიიღეს განაახლონ მოლაპარაკება საჩქარო და ენერგიული ზომების მიღებით. მოლაპარაკება შეეხება მოკავშირეთა ჯარის თავისუფლად ყოფნას საბერძნეთის ტერიტორიაზე. მიწერილობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ საბერძნეთის კაბინეტმა დაადასტურა, რომ იგი მზადაა შეურყეველი კავშირი შეინარჩუნოს შეთანხმების სახელმწიფოებთან და არც განზრახვა აქვს ხელი შეუშალოს მათ მოქმედებას ბალკანეთში. ეს განცხადება კაბინეტისა, დიპლომატების აზრით, შედეგია მოკავშირეთა წარმომადგენლების ენერგიული გამოსვლისა ათინაში და მოკავშირე ფლოტის გამოცხადებისა საბერძნეთის წყლებში. დიპლომატებისავე აზრით, საბერძნეთის ფინანსიური მხარის დაკმაყოფილებას მოკავშირეთა მხრით მჭიდრო კავშირი აქვს ამ მოლაპარაკების შედეგთან.

პარიზის პრესა.

პარიზის ყველა გაზეთი თითქმის ერთხმათ მოითხოვს, რომ მოკავშირეებმა გაბედული და ენერგიული ზომები მიიღონ საბერძნეთის წინააღმდეგ.

„ტემსი" იგონებს 1827 წლის ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც საფრანგეთს, ინგლისსა და რუსეთს უფლება აქვთ საერთო შეთანხმებით ოკუპაცია უყონ საბერძნეთის ტერიტორიას.

„მატენს" უსაჭიროესათ მიაჩნია, რომ ხელი შეუშალონ გერმანელებს საზღვაო ბაზის ხელში ჩაგდებით, ხმელთა შუა ზღვის მეზობლათ, როგორიც არის სალონიკი.

„ჟურნალს" მაგალითისათვის მოყავს სპარსეთის ამბები და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არა დიპლომატიურმა გამოსვლებმა, არამედ კაზაკებისა და ინგლისის კავალერიის შეერთებულმა მოქმედებამ ხელი ააღებინა სპარსეთს თავის განზრახვაზე ყოველგვარი თანაგრძნობა გერმანელებისადმი ურყოფო.

ქრონიკა

რუსეთი.

„[illegible]". გზათა მიმოსვლის სამინისტროს გამგემ ა. თ. ტრეპოვმა სამსახურიდან დაითხოვა ნიკოლაევის რკინის გზის უფროსი ივანოვსკი, დათხოვნის მიზეზი იყო კულატინსკის მხრივ სურსათ სანოვაგის გადაზიდვა. გადმოზიდვის საქმეში უყურადღებობა.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაიკეტოს მაზრის ყველა სამრეწველო, რომელნიც მომქმედ ლაშქრისთვის არიან საჭირონი.

ნაუმოვი.

ხმებია მიწათ მოქმედების მინისტრად ინიშნება სამარის თავად აზნაურთა წინამძღოლი სახ. საბჭოს წევრი ნაუმოვი.

——

სახ. სათათბიროს მოწვევის უკანასკნელ ვადათ 25 გიორგობისთვეს ასახელებენ.

——

მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა კანონპროექტი სახელმწიფო ჯანმრთელობის დასაცავად.

——

ამ დღეებში რეკვიზიცია უქნენ ავსტრო გერმანელთა საგარაჟოებს, რომელნიც ჯარის საჭიროებისათვის უნდათ.

სპარსეთი

(საკუთარ კორესპ.)

ვინც ცოტა ოდნავ გაცნობია სპარსეთის ისტორიას, მან ნათლად იცის თუ რას წარმოადგენდა ეს სახელმწიფო. თითქმის ეს ხალხი თავის მეთაურითურთ ტონს აძლევდა მთელ აღმოსავლეთის სახელმწიფოებს 3000 წლის განმავლობაში, რომლებიც მათ ფეხ ქვეშ ძაგძაგობდნენ. მათ ერთ დროს დაპყრობილი ქონდათ მთელი ინდოეთი, არაბეთი და ხშირათ ხოლმე ჩვენი სტუმრებიც იყვნენ. მაგრამ ბოლოს ისტორია მაინც თავის გზას დაადგა. ისინი სხვა და სხვა მიზეზისა გამო დაიქსაქსნენ, დასუსტდნენ, რის უმთავრესი მიზეზიც არის მათ შორის ჰარამხანების გამრავლება. ბოლოს მათ შემოესიათ არაბები, რომლებმაც დაამსხვრიეს პირველნი. მთელი არაბეთის ჯარი, მოგვითხრობს სპარსული ისტორია, ათი თვის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ სპარსული წიგნებით ითფობდნენ თავიანთ სადგურებსო. ამ ნაირათ ეს სახელმწიფო თან და თან უკან და უკან წავიდა და ამ ბოლო ხანს კი თითქმის არასფერს აღარ წარმოადგენს. აბა რა უნდა იყოს სახელმწიფო, ისიც აზიაში, რომელსაც ერთი გაწვრთნილი ჯარის კაციც არა ყავს, რომელსაც თავისი ფული არა აქვს. ეს უკანასკნელი კი ინგლისელების ხელშია. თამამად შეიძლება ვსთქვა: სპარსეთი არსებობს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად კი ის ეკუთნის რუსეთსა და ინგლისს თითქმის მას შემდეგ, რაც ევროპის სახელმწიფოები ომის ფერხულში ჩაებნენ, მას შემდეგ ნემცები აქ პროპაგანდას ეწევიან, მაგრამ იმათ ჯეროვან იმედებს ვერ მიაღწიეს, თუმცა ახალგაზრდობაში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებიათ. როგორც აქ დადის ხმები, ახალგაზრდობა, ესე იგი დემოკრატია, როგორც აქ უწოდებენ, ომის გამოცხადების მხარე უჭირავს. აქ დიდი ხანია, რაც მითქმა-მოთქმაა არა დღეს დაიწყება არეულობა, არა ხვალო.

ამ ბოლო დროს საქმე ძალიან გამწვავდა. ყოველ დღე თითქმის სხდომა აქვთ ჩვენი და ჩვენი სახელმწიფოების მოკავშირე წარმომადგენელთ სპარსეთის დიპლომატებთან ერთად. თვით თეირანმა, აგერ ერთი კვირა იქნება, რაც ფერი იცვალა. აქაურმა მთავრობამ შეკრიბა ეგრედ წოდებული ხარბაზები (აქაური ჯარი) მათ იარაღი დაურიგა და ქუჩებზე დღევანდლამდი თუ თითო დარაჯი იდგა, ახლა ყოველ ნაბიჯზე თითო სდგას. არც ჩვენები ჩამორჩნენ უკან. შეკრიბეს მთელი აქაური კაზაკები, რომლებსაც ეძლევათ რუსეთიდან ჯამაგირი და წვრთნიან ჩვენი ინსტრუქტორები. სუყველანი დაახლოებით შეადგენენ 60,000 კაცს და [illegible] არიან სომხები. ამასთანავე უნდა დაუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ჯარი დაახლოებული არის თეირანზე 40 ვერსის მანძილზე.

ორ გიორგობისთვეს საქმე ძლიერ გამწვავდა. შემთხვევით ბაზარში წაველ. გავიარე შახის სასახლეს გვერდზე და მთელი ჟანდარმერია შვედებისა თავიანთი ოფიცრებით, რომლებსაც ნემცების მხარე უჭირავთ, შეიარაღებული აქ იდგნენ. ყურადღება არ მიმიქცევია. დავბრუნდი რამოდენიმე საათის შემდეგ ისევ იმ გზით და რა ვნახე: არამც თუ ჟანდარმერია, არამედ მთელი ჯარი, რაც კი გააჩნია სპარსეთს, აქ იყო. ქუჩებში ერთ დარაჯს ვერ ნახავდით, ყველანი შეიარაღებულნი შახის სასახლეს წინ იდგნენ. ხალხიც შეგროვილიყო. იქვე გვერდში მდგომ ჩემს მოწაფეს ვკითხე:—ეს რა ამბავია მეთქი? მან მიპასუხა—შახი სტოვებს თეირანს და ისპაჰანს მიდის, რადგან აქ რუსის ჯარი აპირებს შემოსვლასაო. მე დაუჯერებელი თვალით შევხედე მას, რადგან მანამდის ამის შესახებ არასფერი ლაპარაკი არ ყოფილა. მაგრამ როდესაც დავინახე, რომ სპარსეთის მთავრობა მეტლეებს, აქაურ მდიდარ თუ ღარიბ მცხოვრებთ ართმევდნენ და პირდაპირ ხელიდან გლეჯდნენ ცხენებს, აქლემებს, სახედრებს, ჯორებს და აგროვებდნენ შახის სასახლესთან, მაშინ კი სინამდვილეთ მეჩვენა მოწაფის ნათქვამი. ხალხში დიდი პანიკა ჩამოვარდა: ვინ სად გადახიზნა და ვინ სად. საღამოს ჟამს ჩვენმა მისიამ მოწოდება გამოუშვა, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: ნუ გეშინიათ ჩვენ თქვენთან გვსურს მეგობრული დამოკიდებულება გვქონდეს და თუ შემოვა ჩვენი ჯარი აქ თქვენ არას დაგიშავებთ, მხოლოდ აქ ისინი წესიერებას დაიცავენო.

ამ ნაირათ მეც, რასაკვირველია, ოთახში ჩავიკეტე. საღამოს უეჭველათ ველოდით რაიმე მოხდებოდა. მაგრამ გათენდა სამი გიორგობისთვე ისე ჩვეულებრივათ ჩემთვის, როგორც სუყოველთვის.

დილით გავიარე ბაზარში. მითხრეს: შახი არ წასულა, დარჩაო. როგორც აქ ხმები დადის, შახი თხოულობს, რომ რუსის ჯარი არ შემოვიდეს თეირანში და თუ უეჭველად შემოვიდა, იგი სტოვებს უკანასკნელს და მიდის თავის ამალით ისპაჰანს.

ოსმალოების, ნემცებისა და ავსტრიელების მისიამ შეაფარა თავი ამერიკის მისიას, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოისას. აქ დღეს ხმები დადის თითქოს 30 ვერსის მანძილზე თეირანიდან შეტაკება უნდა მოხდომოდეს ჩვენ ჯარსა და სპარსეთიდან ღამით გასულ ბახტიარებს.

სხვათა შორის, 2 გიორგობისთვეს, აქ ბევრი ბახტიარები ჩამოვიდნენ თავიანთი შეიარაღებული ყმებით, ქუჩაზე სიარული ძნელი იყო: სულ ცხენების ჯირითი—ვინ საით მიაქენებდა და ვინ საით. დღეს ცოტათი სიწყნარე ჩამოვარდა. ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი.

რუსის მანეთის ფასი ძლიერ დაეცა. აქამდის თუ 4—5 კრანამდე ღირდა ახლა ღირს ერთი მანეთი 3 კრანი და 10 შაი. (კრანი დაახლოვებით უდრის ჩვენ აბაზს, შაი კი კაპიკს.) ომის დაწყებამდის ჩვენი მანეთი ღირდა 6 კრანი.

პამენ ფიფინაძე.

სპარსეთის ამბები

გერმანეთ-ოსმალეთის გამოქნილი დიპლომატია გაცხარებით მუშაობს დღეს სპარსეთში.

ბულგარეთში გამარჯვების შემდეგ მათ საჩქარო სამოქმედო ასპარეზად ირანის სამეფო გადაიქცა.

ერთ დროს ძლიერსა და მქუხარე სპარსეთს, რომელიც ჩვენს პატარა სამშობლოს ხშირად ბურთისავით ათამაშებდა ხოლმე ხელში, დროთა სვლამ სახე სრულიად შეუცვალა.

მე XVII საუკუნიდან [illegible] საერთო დაუძლურების პროცესი. უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილ ამაყ ირანს ეგონა, რომ მისთვის ყოველთვის ერთი დრო იქნებოდა, იგი ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევდა ევროპის საერთო ცივილიზაციას და სახელმწიფოებრივ წესწყობილებას.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ, რუსეთის იმპერიალისტებს საშუალება მიეცათ უფრო მოხერხებულად ემოქმედნათ აზიის სამფლობელოს გასაფართოებლად.

უკანასკნელ 90—100 წლის განმავლობაში სპარსეთს ჩამოაცალეს ყველა ხეირიანი სახანოები, მაგრამ მარტო ეს არ აკმარეს.

„ყირიმის ომის" შემდეგ ინგლისს-რუსეთი ერთმანეთს უახლოვდებიან სპარსეთის საკითხებში და ბოლო დროს ხომ იგინი ერთსულოვნათ მოქმედებენ სპარსეთის საკითხის გადაჭრაში.

ამ ორი სახელმწიფოს განზრახვა იყო სპარსეთი თავის პროვინციათ გადაექციათ და სპარსეთის „რევოლიუციის" შემდეგ ინგლისს—რუსეთმა თავისი საწადელი სავსებით აისრულეს, სპარსეთი, მართლაც, ამათი ხელქვეითი ხდება.

ამ გარემოების წყალობით, დღეს სპარსეთს არ გააჩნია საკუთარი ლაშქარი, ფინანსიური მხარე დაცემულია და სახელმწიფოს ფაქტიურ მპართველებად რუს-ინგლისელნი გამოდიან.

შვეციის ოფიცრები და ჟანდარმერია, რომელიც სპარსეთში წესრიგის დასაცავად მოიწვიეს, შახს იმდენს პატივსა და მორჩილებას არ უწევენ, რამდენსაც ინგლის რუსეთის კონსულებს.

განათლების მხრით სპარსეთი ყველა სახელმწიფოზე ჩამორჩენილია.

თუ ინგლის რუსეთი შეერთებულათ მოქმედობდენ სპარსეთის საქმეებში, არც გერმანეთის იმპერატორ ვილჰელმს ეძინა და მანაც კარგახანია ყურადღება მიაქცია მას, როგორც დღეს-დღეობით ზოგიერთი ნიშანი გვიჩვენებს, მისმა გაწვრთნილმა დიპლომატიამ საქმეც მოაგვარა და სპარსეთის ზოგიერთ ადგილში ხალხი ინგლისს-რუსეთის საწინააღმდეგოთ აამოძრავა

როგორც ზევითაა ნათქვამი სპარსეთი ფიზიკურადაც და ფინანსიურადაც უძლურია, მაშასადამე, ამ მხრით გერმანია ვერ გამოიყენებს მას. მაგრამ მას სულ სხვა-

---

ნისლი.

ესკიზი

(აზრი აღებულია).

გაზაფხულია. ეკლესიის ზარები მლოცველთ მწუხრის მოსასმენად იხმობენ. ნელა და შეუმჩნევლად ჰქრება ვარდისებური კვალი ჩამავალი მზისა. ქუჩებში გაზაფხულის ლურჯი ნისლი ჩამოწვა. მომხიბლველ ველ-მინდვრებიდან მოჰქრის ნელი ნიავი. სახლებში სანთლები აანთეს. ქალაქიც სიჩუმემ მოიცვა. ამ დროს ერთ პატარა ლამაზად ამწვანებულ ბექობზე ვიდექი და გადმოვყურებდი დასავლეთ საქართველოს მშვენიერ დედა-ქალაქს. ფიქრმა შემიპყრო, ოცნებამ გამიტაცა. მიწიერი ზეცაურ არსებათ გადამექცია!..

ჩემ წინ ფაზისი სიმღერით მოაგორებდა ტალღებს, მხოლოდ ჩემს ზემოთ, დაბურულ ხეებს იქით, მწარეთ კვნესოდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და ეს კვნესა, კვნესა იყო ჩემის ტურფა სამშობლოისა!..

დაბინდდა. წყვდიადმა შთანთქა სამშობლოს მთები, ლამაზი ველ-მინდორი. მისწყდა ადამიანთა ფეხის ხმაც...

ნელის ნაბიჯით დავეშვი ქალაქისაკენ.

. . . . . .

სულმა წამძლია და ბაღში გამოვიარე. სამარისებურ სიჩუმეს არღვევდა სიოსაგან გამოწვეული შრიალი ვერხვის ფოთლებისა. რამდენჯერმე შემოვუარე ბაღს ირგვლივ. აქა-იქ ხის სკამებზე ისხდენ ქალვაჟნი. ნისლებში გახვეული გაზაფხული სწნავდა სიყვარულის ბადეს. შევატყე, რომ აქ მეტი ვიყავ და წინ წავიწიე. მივეყრდნე რკინის მოაჯირს და ყური მივაპყარ ფაზისის დუდუნს და წარმოვიდგინე ფაზისი ცისფერი, ცივი, სწრაფი და მასთან ლამაზი, ვით სიყვარული....

ფიქრებში გართულმა ვერც კი შევამჩნიე იქვე მჯდომი უცხო ადამიანი და, მობრუნებისას, კინაღამ ზედ წავაწყდი.

არ ვიცი რათ, მაგრამ უცბათ მომწყურდა ამ კაცთან ლაპარაკი. მომწყურდა იმიტომ უფრო, რომ მთელი საღამოის ნაფიქრ-ნაგრძნობი მოსვენებას არ მაძლევდა.

მივტრიალდი—მოვტრიალდი და იმ უცნობის გვერდით სკამზე ჩამოვჯექ.

უცნობს ოდნავ თვალები დაეხუჭა და ღრმათ ჩაფიქრებულიყო. შესაძლებელია ის იგონებდა, იხსენიებდა რამეს, ვინაიდან ასეთი გამომეტყველებით შეუძლებელია აწმყოზე ფიქრი; მხოლოდ წარსულის მოგონება შეიძლება, დიდ წარსულის, დამარხულის, დამწვარ წლების ფერფლის ქვეშ.

არიან ასეთი ადამიანები, რომელთა სახეზედაც ერთ და იმავე დროს ამოიკითხავთ სულის მღელვარებასა და ტანჯვასაც, რომელთა სახეზედაც წაიკითხავთ ბევრ რამეს და რომლისაგანაც დაჟინებით მოელით აღსარებას გამოუცნობ ტანჯვისას. ჩავაცქერდი მის ტანჯულ სახეს, გამხდარ კისერს, ისეთ სუსტს, გეგონებოდათ, ერთი ხელის შეხებითაც კი გადასტყდებოდა. რა ქუხილს, რა ქარიშხალს გადაევლო ნეტა მის თავზე?

. . . .

ტანთ ეცვა ძლიერ ღარიბულათ: წაბლის ფერი მოსასხამი, მოკლე სახელოებით და გახუნებული ხავერდის საყელოთი; თავზე ქუდი—მომწვანო ფერით გადავლებული. დავაკვირდი და კარგად დავინახე, რომ მას არაფერი არ იზიდავდა; იჯდა ერთ ადგილას. დიდებული ბუნების მშვენიერი სანახაობით სრულიად არ მოხიბლულიყო და არ მოჯადოებულიყო. დიახ, კარგად დავინახე, რომ ის წარსულს იგონებდა, აწმყოსათვის მას არ ეცალა. სიჩუმე ვეღარ ავიტანე და დავახველე. ჩემი მეზობელი შეკრთა, შეშინებულმა გაშტერებული თვალებით შემომხედა მეც ჩავაცქერდი მას თვალებში. რამდენიმე წამი ამ მდგომარეობაში ვიყავით.

— რას მიცქერით? ვინა ხართ? რათ მომეპარეთ აგრე უეცრივ?

ნელი, სრულიად ნელი ხმით მეკითხებოდა მე ის და თან განცვიფრებული მაკვირდებოდა. მე დაუსახელე ჩემი ვინაობა და ვუპასუხე, რომ მე მხოლოდ ჩამოვჯექი სკამზე დასასვენებლად, და თუ ეს მას აწუხებს მე წავალ. მან უცებ გაიღიმა, და რაღაც ბავშური უმწეო სახე მიიღო.

— არა, არაფერია, იცით, მე მეგონა თქვენ გამოგგზავნეს. თქვენ იცით რომ მე დამეძებენ?

— ვინ დაგეძებთ? შევეკითხე მე.

— ისინი!—მის სახეზე ზიზღი ამოვიკითხე.—ორ ფეხა ცხოველები შეჩვენებულები, რომლებიც მე მითვალთვალებენ; იმიტომ, რომ სულელი ვეონივარ მათ, სულით ავათმყოფი, გიჟი; ხა, ხა, ხა, ხა! და მართლაც შეშლილივით გადაიხარხარა.—„მე სულით ავათმყოფთა სახლში ვყავდი მათ დამწყვდეული—განაგრძო მან-მერე კი იქიდან გამოიყვანეს და მაინც ამბობენ, რომ, მე სულით ავათმყოფი ვარ; აბა მითხარით, აი ეხლა, აი, აი, აი, თქვენ, რომ გელაპარაკებით, განა მე ვგავარ სულით ავათმყოფს? ა? ხომ არა?—აბა რა არის ცუდი იმაში, რომ მე ვზივარ აქ, საზაფხულო ბაღში, და ვფიქრობ ჩემთვის, მე ხომ არავის არაფერს ვუშავებ, მე ხომ ბოროტებას არ ჩავდივარ, მართლა და ან რა დამიშავებია?—მას თანდათან უსუსტდებოდა ხმა, ბოლოს გაჩუმდა და თავი დახარა. ამ სიჩუმეში უფრო გარკვევით მოისმა ფაზისის გულის გამწყალებელი დუდუნი და საღამოს ჰაერში მკაფიოდ გაისმა ხმა მეტივეებისა, რომლებსაც შემოდგომის გამო ტივი გამოეტანათ ნაპირზე, დამსხდარიყვნენ და თავისთვის ღიღინებდნენ.

— საძაგლები, გაუტანლები—ამოიკვნესა მან და კვლავ გაჩუმდა.

ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და გაუბედავათ ვსთხოვე:

— სთქვით, განაგრძეთ... მე... მეც ისეთი ნუ გგონივართ... მე სმენათ გადავიქცევი.

„მე ვიგონებ, ოცი წლის ამბავს, იმ დროს როდესაც ვიდექი სწორეთ, აი აქ, ამ ადგილს, და დიდხანს, დიდხანს გავყურებდი რიონს. მაშინაც ასე მოისმოდა ერთმანეთში არეული, ერთ ხმათ გადაქცეული ეს გულსაკლავი დუდუნი რიონისა და ნაღვლიანი ხმები მეტივეებისა! მე მაშინ შეყვარებული ვიყავ! არა შეყვარებული კი არა, მე იმ დღეს გულიდან ამოვიგლიჯე ჩემი სიყვარული!—გაგიკვირდათ? რათ მოიღრუბლეთ? მაგრამ. კარგი ნიშანია, როცა ადამიანი სიყვარულის გაგონებაზე არ იცინის—მე ვერ მომინელებია, როდესაც სიყვარულის ხსენებაზე ადამიანი იღიმება, რაღაც საზარელი და არა წმინდაა მოსჩანს მაშინ იმ ღიმილში. ღმერთის ხსენებაზეც არ შეიძლება ღიმილი; ორფეხიანები კი სულ იღიმებიან! „სიყვარული იბადება, სიყვარული ჰქრებაო"—გააჯავრა ვიღაცას და დაუმატა—„სულელები, ჩერჩეტები! მე ბევრჯელ, მოვუყოლივარ ჩემ თავგადასავალს. ყველანი კი სულელათ, გიჟათ მსთვლიან. ისინი ამბობენ, ნორმალური ადამიანი ასე და ასე უნდა მოიქცესო,—ოოო, იმათ წინდაწინვე იციან, როგორც უნდა მოიქცენ, წინდაწინვე აქვთ ყოველივე გათვალისწინებული...

უმაწვილი ვიყავი, მოქანდაკე; პირველათ ჩემს სიცოცხლეში დამებადა აზრი—გამოქანდაკება სატანისა. გინახავთ, როდისმე სატანა? სამხატვრო აკადემიაში სდგას ჩემი ქანდაკება „განცდა უდაბნოში." ეს პირველი ნაშრომია ჩემი. ხომ გახსოვთ სახარებიდან: ქრისტე ორმოცი დღე იყო უდაბნოში და მოვიდა მასთან სატანა შესაცდენათ. „განვედ, ჩემგან სატანაო"—უთხრა იესომ. წარმოიდგინეთ საშინელება, მასთან სიხარული, უძლურება და გამარჯვება უკან დახეულ საშინელებით მოცულ სახისა, თვალებს ანთებული, და მასთან მწარი ღიმილით გამოქანდაკებული ხარხარებდა სატანა; და სწორეთ ეს მომენტი—ავიღე ჩემი ქანდაკების დედა-აზრათ. მე როგორც მხატვარს, რა უფლება მაქვს, ქება და დიდებით მოვიხსენიო ის ქანდაკება, მხოლოდ ვიტყვი, რომ ქანდაკება ღირსი გახდა ქება-დიდებისაც, და როგორც ყოველთვის ასეთ ნაწარმოების შემქნელს, შურის თვალით დამიწყეს ცქერა, და ამან გამოიწვია ჭორები, ჩემი პიროვნების დასაჩრდილათ მოგონილი ეხ, ცხოვრება ბრძოლაა, სიცოცხლე მოძრაობა, სილამაზე კი წინსვლა. მკვდარია ვინც უმოქმედობაში ლევს დღესა თვისთა.

გამოფენაზე პირველ დღესვე ჩემმა მეგობრებმა გამაცნეს ერთი ქალი. ვით ია, უკანასკნელ მზის სხივით აჭრელილი, იდგა ჩემს წინ იგი ასული. აი აქედან იწყება ღერძი ჩემი ტრაგედიისა.

გამოფენაზე ჩემმა ქანდაკებამ გაიმარჯვა, და მაღალივითა ვგრძნობდი თავს, მე თვით ვკანკალებდი, როდესაც უცქერდი ჩემს სატანას. მე შევქმენი ის, მე, მე ჩავსახე, ჩავაქსოვე მასში ღამის მოჩვენებანი, რომელნიც მტანჯავდენ მე, ჩემი ფიქრები, სატანა უკან—უკან იხევდა ქრისტესაგან, თან იღიმებოდა, იღიმებოდა და ამ ღიმილში იყო ყოველივე: უძლურება. და ძლევა-მოსილება, ზიზღი და სიყვარული, ამპარტავნობა და დამცირება, იღიმებოდა. არა, ეს ღიმილი კი არ იყო, არა ეს იყო მოკუმშული დანაოჭებული ტუჩები, რომელიც ინახავდენ საიდუმლოებას, ვით თავი იმ გველისა, რომელიც მიცოცავდა სატანასთან ერთად.

საღამო იყო, როცა ხელმეორეთ შევხვდი იმ ქალს. მე არ ვიცი, რა მოხდა,

გვარი მიზანი აქვს.—

სპარსეთის მიმხრობა მისთვის საჭიროა იმიტომ, რომ სპარსეთის ტერიტორიით შეიჭრება იმ სამას მილიონიან ინდოეთში, რომლითაც ასე რიგად ამაყობს ინგლისი და ამ უკანასკნელის მომაკვდინებელ მახვილს ჩასცემს გულში.

სპარსეთითვე ეხსნება ფართო სამოქმედო გზა გერმანიას კავკასიისკენ.

გერმანია-ოსმალეთი ამის სამაგიეროთ სპარსეთის მთავრობას სახელმწიფოს აღდგენას პირდება. თუ როგორ მოიქცევა სპარსეთის მთავრობა და შესძლებს თუ არა გერმანია—ოსმალეთი სპარსეთის ერის თავის მხარეზე გადაბირებას,—ამას ახლო მომავალი დაგვანახებს, ხოლო უნდა ითქვას, რომ სპარსეთის მთავრობის ორჭოფობა საკმაო ეჭვს ბადებს და მოსალოდნელია, რომ მან, როგორც ბულგარეთმა ზურგი აქციოს მოკავშირეებს.

ქართული პრესა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის თბილისს „საქართველო“ სწერს:

თბილისში ხდება კონცენტრაცია საქართველოს ინტელიგენტურ ძალებისა. აქ თავი მოუყრია სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებას. ყოველი ახალი ეროვნულ-კულტურული ორგანიზაცია პირველად აქ ისახება და შემდეგ ამ დაწესებულება-ორგანიზაციათა ფილიალი განყოფილებები საქართველოს სხვა და სხვა კუთხეს ეფინება. აქ არის სათავე და პირველი კვანძი ყოველი ქართული კულტურული საზოგადოებისა. ჩვენი საზოგადოებრიობის ზრდა აქ მომხდარა და ჩვენი მოღვაწენი, რომელთაც საძირკველი ჩაუყრიათ ეროვნული აღორძინებისათვის თბილისში მოქმედებდნენ. მათი საუკუნო განსასვენებელი ქართველის შეგნებას თბილისში დაუსახავს. ამისთვის ანდერძიც კი გადაულახავს თავის ძვირფას მიცვალებულის მათაყვანებელ ცოცხალ საქართველოს. ქართული საქმის ინიციატივა აქ დაბადებულა. ყველა ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. აქ მუშაობს ერთი ძლიერი ფაქტორი, რომელიც დაურღვეველ კანონის სიმკაცრით მოქმედებს **ქართველის ფსიხიკაში თბილისი სრულიად საქართველოს დედა-ქალაქად** არის მიჩნეული, იგი მის შეგნებაში საქართველოს ცენტრია. ეს უტყუარი სინამდვილეა. ამას ვერავინ ვერ უარყოფს. ამ შეგნებას ვერც ერთი ქართველი ვერ გაექცევა და ყოვლად შეუძლებელია, რომ მას ანგარიში არ გაუწიოს ამა თუ იმ მიმართულების მიმდევარმა. ეს რომ არ იყოს, უფრო გაბედული მათგანი იტყოდა კიდეც, თბილისი რა გდია, მასზედ ხელი აგვიღიაო. მაგრამ ეს ასე არ არის და ვერც იქნება ასე. თბილისი საქართველოს გულია, გარს შემოხვეულ საქართველოს დაბა-ქალაქ-სოფელთა ძარღვების სისხლი მასში იხმის. თავის მხრივ იგი აწვდის საქართველოს სოფელს, რაც მას ესაჭიროება. საქართველოს დაბა-ქალაქები და სოფლები მას ყურს მიუგდებენ და მისგან მოელიან ბრძანების სიტყვას. თბილისი შეგნებული საქართველოს ნამდვილი პსიხოლოგიური მბრძანებელია. ყველას მისწრაფება და ხედვა თბილისისკენ მოილტვის და ყველას საწადელი ისაა, რომ ეს პსიხოლოგიური ცენტრი, საქართველოს **ნამდვილ** დაუფლებულ ცენტრად გადაიქცეს.

თბილისი კავკასიის პოლიტიკური ცენტრი რომ არ ყოფილიყო, ქართველთა ცენტრალ საკრებულოდ მაინც იქნებოდა. რომ სრულიად კავკასიის ცენტრი კავკავში ანუ სტავროპოლში გადაეტანათ, საქართველოს ეროვნულ კულტურულ ცენტრად, საქართველოს დედა-ქალაქად ისევ თბილისი დარჩებოდა; მისი არსებითი მნიშვნელობა და ღირებულობა ქართველის თვალში ოდნავად არ შეიცვლებოდა.

ზედმეტ ღირებულობას თბილისს ის გარემოება მატებს, რომ იგი მთელი კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრია. მისი მორალური გავლენა ამ გარემოებით კიდევ უფრო გაძლიერებულია. დაუფასებელი იქნებოდა თბილისის სამსახური ეროვნული საქმისათვის, რომ მისი ხმა და ნებისყოფა საქართველოს ეროვნულ ნებისყოფის და ხმის ანარეკლი იყოს. ასეთს დიდსა და ძლიერ ცენტრიდან საქართველოს პროვინციას რომ მედგარი ხმა მოესმას, ხმა ეროვნული დახმარებისა და ბელადობისა, მთელი საქართველო ერთიორად იმედ მოცემული იქნებოდა. შეგნებული საქართველო ელტვის თბილისის ამგვარ გარდაქმნას. მომქმედი და ინიციატივიანი ქართველი თბილისს ჩამოდის და ქონებრივად მის დაპყრობას ცდილობს. ინტელიგენტური ძალები აქეთკენ მოედინება და ყოველ ღონეს ხმარობენ თბილისში კულტურული ბატონობა ხელში ჩაიგდონ. ამგვარად თფილისის დიდი პსიხოლოგიური და მორალური მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის დღეს მკაფიოდ არის გამოთქმული; თფილისის დაპყრობისა და თფილისში გაბატონების პროცესმა უკვე ღრმა კვალი გაავლო ქართველის შეგნებაში. ხოლო უფრო ცოცხალი და მომქმედი ელემენტი პრაქტიკულად შეუდგა კიდეც ეროვნულ აუცილებლობის ნაკარნახევის აღსრულებას. თაოსანი და საქმის მოყვარე ქართველობა აქ ჩამოდის და ფეხს იკიდებს. ასეთია სინამდვილე, ასეთია პსიხოლოგიური განწყობილება ქართველისა თფილისისადმი, განწყობილება, რომელიც დიდი სტიმულია ეროვნული ენერგიის ასამუშავებლად. ამ მოვლენას შეგნება უნდა. ამ განწყობილებას, რომელიც გამომხატველია ქართველობის დიდი სულიერი გარდაქმნისა, გაგება უნდა, წაქეზება და ხელის შეწყობა სჭირია. აქ ორი აზრის ქონა შეუძლებელია. ყველა ქართული მიმართულება მოვლენის შეფასებაში უნდა შეთანხმებულიყო და საერთო ძალ ღონით დაეჩქარებინა უკვე დაწყებული პროცესი. აქ პარტიობა მოსატანი არ უნდა ყოფილიყო. ყველა და ყოველი შეგნებული ქართველი უნდა შეერთებულიყო, რომ ღონე ღონეს და ნელ-ნელ ჩვენს საკუთარ დედა-ქალაქში სხვისი ბატონობის მაგივრად ბატონობაც და პატრონობაც მის კანონიერ მესაკუთრეს, ე. ი. ქართველების ხელში გადასულიყო. ამის მისაღწევ ერთ-ერთ საშუალებად ქალაქის არჩევნებია, საჭირო იყო ქართველი ამომრჩევლების შეერთება და პროპორციის მიხედვით ქართველი ხმოსნების გაყვანა იმ ქალაქის თვითმართველობაში, სადაც დღეს ოთხმოც ხმოსანში ქართველი ათიც არ ურევია. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული სოციალისტური პრესა (იგულისხმე სოციალდემოკრატიული) ძველებურად ან ეროვნულ სულთა სწრაფვის გამაბათილებლად გამოდის. როგორც სხვა საქმეებშიც თბილისის არჩევნებშიაც იგი ეროვნული მომენტის უარმყოფელად გამოდის. ეროვნულ შეერთების მაგიერ, იგი ეროვნულ დაქსაქსულობას ქადაგებს. მისთვის სულ ერთია მთელი თვითმართველობა საქართველოს „შვილების“ ხელში იქნება, თუ (სასომხეთოს) სხვის ხელში. ჩვენთვის ეს სრულიად სულ ერთი არ არის და გვგონია, რომ სოციალდემოკრატიული პრესა დღესაც ძველ შეცდომას იმეორებს. ჩვენ ღრმად გვწამს რომ გამოფხიზლებული საქართველო, მისი დემოკრატიული, და არა-დემოკრატიული ნაწილიც სოციალდემოკრატიის პრესის შემცდარ შეხედულებას და პოზიციას არ გაიზიარებს. თბილისის ქართველი ამომრჩევლები, ერთად შეერთდებიან და მომავალ არჩევნებში გამოვლენ როგორც ერთი განუკვეთელი ერთეული. ერის სხეულს გაზრდა სწადია, დასრულწლოვანება და თავის ქვეყანაში საკუთარი თავის გაბატონება.

ორი სიმპატიური და სასარგებლო დაწესებულება.

პირველი დაწესებულება გახლავთ ქუთაისის ქალთა საზოგადოება.

ეს საზოგადოება იმდენათ სასარგებლოა მოსიყვარულე დედა თავის შვილებისათვის, ეს საზოგადოება იმდენათ სიმპატიურია, რამდენათაც სიმპატიურია პატიოსანი და თავ-დადებული მანდილოსანი ოჯახისათვის, ვინაიდან ოჯახი ბურჯია ერისა,—გაძლიერება, ფეხზე დაყენება და აღორძინება ამ საზოგადოებისა დამოკიდებულია თითოეულ ჩვენთაგანზე და მოვალენიცა ვართ ხელი შევუწყოთ მას და ყოველთვისაც გვახსოვდეს იგი. ხოლო, თუ დღეს, საგანგებოთ, მოვიგონეთ იმიტომ, რომ დღეს საღამოთი, ელექტრო თეატრ-რადიუმში **ამ საზოგადოების სასარგებლოთ იმართება სეანსები** და გვინდა ეს გარემოება გავახსენოთ ქუთათურებს, რომლებიც ყოველთვის გულ-მხურვალეთ ეკიდებიან ხოლმე საქველმოქმედო საღამოებს და, იმედია, დღესაც არ დაიშურებენ თავის წვლილს.

მეორე სიმპატიური დაწესებულება არის „უმაღლესს სასწავლებელში მყოფ ქუთაისის გუბერნიის **ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება**“.

ეს საზოგადოება კი,—გატეხილი უნდა მოგახსენოთ ძალიან დავიწყებულია, იმათგან, ვინც მოვალეა წევრი იყოს მისი. სულ რაღაც ოცი, ოცდა ათი წევრი ჰყავს, იმ დროს, როდესაც მარტო ქუთაისში ორასი და სამასი ნასტუდენტარი მაინც იქნება. ნუ თუ დავიწყებიათ ამ ყმაწვილებს თავისი სტუდენტობა, იმ დროის თავისი გაჭირვება და მწუხარება? რათ უნდა იყოს ასეთი მცირე რიცხვი წევრებისა?

მართალია, ამ საზოგადოებას დიდი გულშემატკივარი ჰყავს ექიმის ს. ი. ხეჩინოვის ოჯახობის სახით, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ერთი კაცი ყველა საქმეში ბრალია და ჩვენი მოვალეობაა მივეშველნეთ და დავეხმაროთ მას.

ეს საზოგადოებაც დღეს იმიტომ გადავახსენდით, რომ საზოგადოების თავჯდომარემ ქ-ნმა ე. ხეჩინოვისამ უკვე აღძრა შუამდგომლობა გუ[illegible] წინაშე, რათა ნება მისცეს მა[illegible] ტრადიციული საღამო ამ საზოგადოების სასარგებლოთ. საღამო გაიმართება მომავალ წლის 12 იანვარს.

ასეთი თავდარიგი და მზრუნველობა ქ-ნის ხეჩინოვისა თავმდებია იმისი, რომ ქუთაისის საზოგადოება ამთავითვე მოემზადება ამ საღამოზე დასასწრებლათ და ბევრიც მოისურვებს წევრათ ჩაწერას.

ჩვენი მომავალი—ჩვენი ახალგაზრდობაა და რასაც მეტს ვიზრუნებთ მათთვის, მით მეტსაც მოვსთხოვთ ქვეყნის სამსახურს.

ია.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

საშობაო კანიკულების დროს ქუთაისში მოხდება თათბირი. ქუთაისის გუბერნიისა და ბათუმის ოლქის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლების ინსპექტორებისა თათბირი გაიმართება ქუთაისის რეალურ სასწავლებლის შენობაში.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ გუშინ, 13 ნოემბერს ს. კულაშში გაუტაცნიათ ადგილობრივ მცხოვრებ ებრაელის სიმხოვიჩის ვაჟი—მოწაფე იქაური უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებლისა.

✦ 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ქუთაისის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში შესდგება ქუთაისის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრის წვრილი კრედიტის ამხანაგობათა თათბირი.

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომ ქალთა მთავრობის გიმნაზიაში დამტკიცებულ იქნას მასწავლებლის ადგილზე პეტროგრადის პედაგოგიურ კურსებზე სწავლა დამთავრებული ქ-ნი ადელაიდა ნეინბურგი.

✦ ჩვენი თანამშრომელი, შალვა ამირეჯიბი როგორც პირველი ხარისხის „რატნიკი“, მოქმედ ჯარში გაიწვეს.

✦ დღეს ქუთაისის ქალაქის თეატრში გაიმართება პეტროგრადიდან მოსულ მემუსიკეთა კონცერტი.

✦ სისხლის სამართლის მეორე სესია, 21 ამ თვეს გაემგზავრება ქ. ბათომს, სადაც გაარჩევს რამოდენიმე სისხლის სამართლის საქმეს. სესია დარჩება 28 ნოემბრამდი.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიის ერთი ნაწილი 14 ნოემბერს გაემგზავრა დ. საჩხერეში, სადაც დაჰყოფს 28 ნოემბრამდი.

✦ 11 ნოემბერს სოხუმიდან ქუთაისს უკვე დაბრუნდა საოლქო სესია.

✦ სასამართლო პალატის სესია ქუთაისში საქმეებს გაარჩევს 16—23 ნოემბრამდე.

✦ 11 ნოემბერს ქუთაისის სამმართველომ გაარჩია საქმე ე. ვ. გრიგოლიაისა და მ. ბარკალაისა, რომელთაც ბრალდებოდათ ყალბი მოწმობების გაკეთება. სასამართლომ ორივენი დამნაშავეთ იცნო და ორ-ორი წლის გამასწორებელი რაზმი მიუსაჯა.

თბილისი.

(საკუთ. კორესპონდენტისაგან).

— მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე სამსახურიდან გადადგა. მის ადგილას ინიშნება თ. ორლოვი.

— საქართველოს ეგზარხოსს, პიტირიმს კიევის მიტროპოლიტის თანამდებობა მისცეს.

— 9 გიორგობისთვეს ქ. სარატოვიდან გამოასვენეს განსვენებულ პოლკ. ლომთათიძის ცხედარი.

— სინოდის ობერპროკურორს სინოდში წინადადება შეაქვს, სამრევლო სკოლების მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მომატების შესახებ.

— შინაგან საქმეთა მინისტრი ინახულა დეპ. კარლო ჩხეიძემ, რომელსაც წარუდგინა მოხსენება ციმბირში გადასახლებულთა აუწერელი მდგომარეობისა ცხოვრების გაძვირების გამო და დახმარება სთხოვა.

რა გრძნობამ დაისაკუთრა ჩემში, მე ვიცოდი მხოლოდ, რომ მე უნდა მოვშორებოდი მას, აღარ მენახა, აღარსად შევხვედროდი, დამევიწყა სრულიად.

მე გავემგზავრე სოფლისაკენ. ვიფიქრე, იქ მოვისვენებ მეთქი, მაგრამ ამაოთ. ყოველი დღე ჩემი იქ ყოფნისა ტანჯვით გადაიქცა. მისი სახე არ მშორდებოდა. მე ვიშორებდი მას მაგრამ ამაოთ იყო ყოველივე. მთელი ღამეები ვფიქრობდი მასზე, ვოცნებობდი მასზე, ვიტანჯებოდი, არ ვიცი კი რისთვის, მისთვის ხდებოდა ყოველივე ეს ასე.

დადგა დრო ქალაქში დაბრუნებისა, და მეც გულმა შენისაკენ გამომწია. სოფლიდან გამარჯვებული კი არა, დამარცხებული. დავბრუნდი. მე უკვე ვიცოდი კარგათ ვგრძნობდი, რომ ის მიყვარდა. ჩვენ კიდევ ვხვდებოდით ერთი მეორეს, დიახ, ხშირათ ვხვდებოდით. იმ დღეს, როდესაც მას ვერ ვნახულობდი, დაკარგულად ვთვლიდი, ის დღეები ჩემთვის წარმოადგენდენ ყოვლად მწარეს, მტანჯველს, უფერულს და მე მეჩვენებოდა, ასე ვფიქრობდი, რომ მის ნახვას ვერ მოვესწრები მეთქი. გამოერეოდა ისეთი დროც, როცა ის ნაკლებით მოდიოდა ჩემთან, რჩებოდა რამოდენიმე ხანს, და მის წასვლის შემდეგ ჩემს სამუშაო ოთახს ნათელი ეფინებოდა. ეს ნათელი მისი დანატოვი იყო. მხოლოდ მის წასვლასთან მოდიოდა ჩემი გულის სიმშვიდეც, ჩემი სიცოცხლე. მე შეუდექი ერთ დიდ სამუშაოს. მე გადავწყვიტე შემექმნა მისთვის, მხოლოდ მისთვის და მის პატივსაცემლათ რაიმე არაჩვეულებრივი. და მე კიდევაც შევქმენ ესა. მე გავხდი ნამდვილი ხელოვანი. მე შევქმენი „ასული სიყვარულისა ღვთის სახით მოვლინებული.

. . . .

— ერთხელ მან მკითხა: „რა იქნება, რომ შენ აღარ მიყვარდე?

— არ ვიცი! მივუგე მე.

— რასა იქ, როგორ მოიქცევი შენა?

— არ ვიცი.

— შენ შეგიყვარდება სხვა ვინმე?

— არა.

— რისთვის! სიყვარული, ხომ იბადება, სიყვარული ხომ ქრება.

— რა უნდა მეთქვა მე მისთვის? მე ვცოცხლობდი ჩემის სიყვარულით, და ამას მე კარგათ ვგრძნობდი. ჩაჰკალი ჩემში სიყვარული და სიცოცხლესაც ბოლოს მოუღებ ამით. ან რაში გამომადგება მე ის? ხელოვნება? მაგრამ სიყვარულმა ხომ დათრგუნა ჩემში ყოველივე და თვით გამეფდა. მან ყოველივე მოსპო ჩემს არსებაში: ხელოვნება, რწმენა განწყობილება სხვა ხალხთან. ყოველივე ეს იყო ერთად ერთი ჩემი ღმერთი. ერთად ერთი სიხარული, მაცოცხლებელი ძალა. სიყვარული იყო ჩემი მეფე და მბრძანებელი. უსიყვარულოდ მე ვერ წარმომედგინა ჩემი თავი.

ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთი-მეორეს ნაცნობების ოჯახში. იცით თქვენ, როგორ იკავებდა თავს? ისე იქცეოდა, თითქოს, ჩვენ ერთი-მეორეს არც კი ვიცნობდით. ოოხ, ღმერთო ჩემო, როგორი ტანჯვაა ეს, ღმერთო, რა მძიმეა! და მწარეთ ამოიკვნესა.

ხშირათ, სხვების თანდასწრებით, ის ლახავდა ჩემ თავმოყვარეობას, ფეხით სთელავდა, საძაგლათ იხსენიებდა ჩემს პიროვნებას, ჩემს რწმენას, ჩემს ადამიანობას. დიახ, ყოველივე ეს ხდებოდა ისეთების თანდასწრებით, რომლებიც მე მძაგდენ, მეჯავრებოდენ, და ეს იმანაც კარგათ იცოდა.

მე მას არას დროს არ ვპატიებდი ასეთ რამეს, მასზედ-კი გაჯავრებაც, გულის მოსვლაც არ შემეძლო, ვერც კი წარმომედგინა მისი წყენინება. მე, ყოველივეს, დიახ, ყოველივეს ვპატიებდი მას. ერთი მისი შეხედვა, ერთი მისი ღიმილი საკმარისი იყო რომ ჩემ სულს ასცდენოდა, გაშორებოდა აუტანელი ტანჯვა, სევდა, სიმძიმე. ორი პწკარი წერილით მას შეეძლო გავეხადნე ისეთი ბედნიერი, რომ მე ვიცინოდი, ვიმღეროდი, ვცეკვავდი, ერთი სიტყვით, ვხტოდი სიხარულისაგან.

ასეთი ნისლით ვიყავი მე გარემოცული და არასფერი არ ვიცოდი, თუ რა ხდებოდა ჩემს გარშემო. რა ვიცოდი თუ მისი მშობლები მაჰანკლებს ეძებდენ გასარიგებლად, ვისზე არ გინდა, ოღონც კი ჩემზე მდიდარი ყოფილიყო. და... მოხდა ის, რასაც მე არასოდეს არ მოველოდი, რის წარმოდგენაც კი საშინელებას მგვრიდა. მესროლეს ისარი, მომხვდა ზურგში და ისე მოხდენილად, რომ პირდაპირ გული დამისერა.

ერთხელ მან გამომიცხადა, რომ დრო იყო ჩვენი სამუდამოთ განშორებისა, და მე დავუბრუნებდი თუ არა მის წერილებს. მე პასუხი არ მივეცი ამაზე. არც ერთი სიტყვა არ მითქვამს. მე სიტყვები ვეღარ ვიპოვნე, ისინი ჩაკვდენ ჩემში. . . . . .

— ხვალ მე თითონ შემოვივლი წერილებისთვის. ისევ იმან დაარღვია სიჩუმე. და...

— დავშორდით ერთი-მეორეს ხვალამდი. საშინელი იყო ჩემთვის ის ღამე! გრძელი იყო ვით ჩრდილოეთის ზამთარი! მთვარეს კაშკაში გაჰქონდა. ჩემს თვალებს ძილი არ მეკარებოდა. მე დავაღე ყველა ფანჯრები, და ოთახში გიჟივით დავრბოდი... ვიტანჯებოდი უზომოთ, უსამზღვროთ! ახლა კი, ვიცი, როგორც უნდა მოვქცეულიყავ: იმ ღამესვე უნდა მომეკლა. მაგრამ მაშინ ფიქრიც კი არ მომსვლია ამაზე. ოოხ, ღმერთო, რატომ არ მოვიკალ თავი, რატომ? რა ბედნიერი ვიქნებოდი?!

. . . .

ის უნდა მოსულიყო ოთხ საათზე. მე შევეცადე, გამემშვენიერებია, გამელამაზებია ჩემი სამუშაო ოთახი. ვიყიდე ყვავილები, ბევრი ძლიერ ბევრი ყვავილები, მერე იცით, მას როგორ უყვარდა ყვავილების სურნელება? კედლებზე ჩამოვკიდე ძვირფასი ხალიჩები აღმოსავლეთის სტილზე. ჩემი ხელით დავდგი სამოვარი და დაუწყე ცდა. უცბათ დავმშვიდდი და ეს სიმშვიდე საოცარი იყო. არა, ეს სიმშვიდე კი არ იყო. არა, ეს გაქვავება, გაშეშება, გაშტერება იყო. საათმა ოთხჯერ დარეკა, და ოთხჯერვე გულმა კანკალი დამიწყო, თითქოს რაღაც მძიმე დამკრესო. სული გავკმინდე, და განაბული ყურს ვუგდებდი ამ სიჩუმეში. აი კიბეზე გაისმა რაღაც ხმა. ეს მისი სამოსი იყო, რომელიც ორთქლივით მოქროდა. ნაზი ფეხები კიბეს ოდნავათ ეხებოდენ. ამოვიდა. მე მივხვდი, რომ ეს ის იყო, ის! გულმა ცემა დამიწყო. ზარი, ჩქარი და მხიარული ზარი. ეს მან დარეკა. მე გავაღე კარები.. მზის ოქროსფერი სინათლე აფსებდა ჩემს კიბეს, და ამ სინათლეში ჩემი პატარა ღმერთი ბრწყინავდა, ვით ანგელოსი. გამიღიმა.

უბრალო და წმიდა იყო მისი ღიმილი, უმწიკვლო, არც კი შემკრთალი. ჩვენ შევედით სამუშაო ოთახში.

(დასასრული ხვალ).

— საქართველოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს თავჯდომარედ უწმ. სინოდმა ერევნის ეპისკოპოსი ლეონტი დანიშნა.

— თბილისის სამოსამართლო პალატაში ამ ჟამად ირჩევა მღვდ. პილაძის და ერთ ჯარისკაცის საქმე. პილაძეს ბრალდება ყალბი მოწმობის შედგენა და ჯარისკაცის გათავისუფლება.

— სახალხო სახლთან არსებულმა ქართულმა სექციამ მოქმედება დაიწყო. სასურსათო თათბირში, რომელიც მეფის ნაცვლის თავმჯდომარეობით სწარმოებს სასახლეში, მონაწილეობას მისაღებათ ჩამოვიდა გიორგი ზდანოვიჩი.

— ქ. შ. წ. კ. გ. ს. დაამთავრა ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

1916 წლის ხარჯთა აღრიცხვა უდრის 53,860 მან. 53 კაპ.

თბ. ქალთა უმაღლეს კურსებზე დირექტორად აირჩიეს პროფესორი ბლაგოვიდოვი.

საჭირო განმარტება.

ომიანობის წყალობით ბევრი ცრუ ხმა ვრცელდება სოფელში. ამ ცრუ ხმებს ბოროტი ადამიანები თხზავენ. თხზავენ, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ წყალი აამღვრიონ და ამ აამღვრეულ წყალში თევზი, რაც შეიძლება, ბლომათ დაიჭირონ. პირისა და სხვა ცრუ საზარალო ხმების გამავრცელებელ პირებს სოფლის ინტელიგენციამ მედგარი ბრძოლა უნდა გაუწიოს, თუ სოფლის პირი მას თავის პირათ მიაჩნია.

ამ ბოლო დროს ერთი უცნაური ხმა გავრცელდა თითქმის ყველგან ჩვენში, განსაკუთრებით კი, ზემო იმერეთში. ეს ხმა ის გახლავთ, ვითომც სასულიერო მთავრობას, საერო მთავრობის წინადადებისამებრ, მღვდლებისათვის ებრძანებიოს არამც და არამც სასალდათო და სათადარიგო ჯარის კაცებს, ვიდრე მათ 48 წელიწადი არ შეუსრულდებათ ჯვარი არ დაწერონ. ასეთი ცრუ ხმის შეთხზვის მოებრიანა არ ვიცით, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ამ უცნაურსა და უსაფუძვლო ხმას ბანი ჩვენმა მღვდლებმაც მისცეს. ჩვენი სულიერი მამები კატეგორიულათ უარს ეუბნებიან ჩვენი ტურფა ქვეყნის ახალგაზდა ქალ-ვაჟს, ჯვარს არ სწერენ და საეპისკოპოსო და სამხედრო უფროსების კანცელარიისაკენ ისტუმრებენ ნებართვის მოსატანათ. საკვირველი ის არის, რომ ასეთ საქციელს ზოგიერთი ბლაღოჩინიც სჩადის და ჯვარის წერის მსურველები უაზრო ხარჯებში შეყავთ ნუ თუ ბლაღოჩინებმა მაინც არ იციან, რომ არავითარი ამგვარი განკარგულება არც სასულიერო და არც საერო მთავრობას არამც თუ არ გამოუცია, ფიქრადაც კი არ მოსვლია არც ერთს მათგანს?

ჭეშმარიტად, შესაბრალისია ჩვენი სოფლის ხალხი. მაგრამ შემბრალებელი და პატრონი რომ არ ჰყავს ეს არის სამწუხარო და სავალალო. **მ. ბუაჩიძე.**

ჭოლა ლომთათიძის ხსოვნას.

ხალხის სამსახური, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც, თავის თავის განსაცდელში ჩაგდებით თავდება. ვისაც განსაცდელის და ტანჯვა წვალების ეშინია, ის ხალხს ვერც გაუწევს სამსახურს. სული ტკბილიო, ნათქვამია, ამის გამო, ხალხის ნამდვილ მოღვაწეებს ძლიერ ცოტას ვხვდავთ. თავიდანვე „სულის სიტკბილეს“ რომ არ შეეშალა ხელი, ხალხის საქმე ეხლა ბევრათ უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა და მის ერთგულ მოსამსახურეებსაც სულ სხვანაირ გაუმჯობესებულ პირობებში მოუხდებოდათ ხალხის სამსახური. ზოგიერთ ქვეყანაში ეს ასეც მოხდა, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენს საერთო სამშობლოში ეს ასე არ არის და საქმეს თითქმის ეხლა ვიწყებთ, ამისათვის ჩვენ დიდი მსხვერპლის შეწირვა გვჭირდება. ჩვენი პატარა და ლამაზი საქართველო კაცობრიობის ბედნიერებისათვის მსხვერპლის შეწირვას არასოდეს არ ერიდებოდა და დღესაც იგი იმავე გზას ადგია. ჭოლა ლომთათიძის უდროვო გარდაცვალება, ხალხის კეთილდღეობისათვის, უტყუარი ნიშანია იმის, რომ საქართველოს თავის თავის დაცვა შეუძლია და ამისათვის მსხვერპლის გაღებასაც არ ერიდება. **მ. ფარცხნალელი.**

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 11 ნოემბერი. საღამოს ცნობა. მთელს ფრონტზე დილამ წყნარათ ჩაიარა, გარდა ბრიულეს ტყისა და ვევრისა, სადაც მტერმა რამდენიმე სულის შემხუთავი გაზიანი ყუმბარა ისროლა უშედეგოთ. დღით არტილერია მძლავრათ მოქმედებდა, სადაც არასის სადგურს 50 ყუმბარა ესროლა, ასევე ლოოსის რაიონში და სუშესთან. უფრო სუსტი საარტილერიო ცეცხლი იყო შემჩნეული სუასონის რაიონსა და შამპანში. უფრო ძლიერი საარტილერიო სროლა იყო ფლირისა და რელიენის სეკტორებში, აგრეთვე ვოგეზებში ტიტედფუსთან და გარტმანსვეილერკოპფთან. ყველგან ჩვენი ბატარეია მაჯვეთ მოქმედებდა და წარმატებაც ქონდა.

პარიზი. 11 ნოემბერი. ბელგიის ცნობა. დილის განმავლობაში ხდებოდა საკმაოთ ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. ჩვენმა ბატარეიამ მტრის მომუშავეთა ჯგუფი გაფანტა და მძლავრათ დაუშინა ყუმბარები მტრის თხრილებსა და საფარაჯო პუნკტებს. საზოგადოთ აწარმოებდა მედგარ ბრძოლას მტრის არტილერიის წინაღმდეგ. უკანასკნელმა განსაკუთრებით ძლიერ დაუშინა ყუმბარები დიკსმიუდესა და ნიუპორტს შუა მდებარე სეკტორს და აგრეთვე ნეერდშოსტესა და ლტეენსტრეტეს შუა მდებარე მიდამოს.

რომი. 12 ნოემბერი. მთავარი ბინის ცნობა. 10 ნოემბრის ღამით და შემდეგი დღის განმავლობაში მტერი შეეცადა მოულოდნელი თავდასხმით და შტიკიანი ბრძოლით ხელიდან გამოეცალა ჩვენთვის რამდენიმე საჭირო პოზიცია, რომელიც ამას წინათ წავართვით მას. მტრის იერიშებს თან სდევდა გრიგალისებური ცეცხლი არტილერიისა. ასეთ ბრძოლას ადგილი ჰქონდა კოლდილანთან, შემდეგ სეკტორ ზაგარნისთან და ოსლავიის ჩრდილოდმოსავლეთით მდებარე მაღლობზე. ყოველი იერიში მტრისა მოგერებულ იქნა, მათთვის დიდი ზარალით. მაგ. 189 მაღლობზე მან დასტოვა ბრძოლის ველზე 300 მეტი მოკლული. ჩვენი შეუწყვეტელი იერიში კარსოზე გუშინ ბრწყინვალე წარმატებით დასრულდა. სანმიკოლეს მთის რაიონში, სადაც შეტევით ავიღეთ სავეჟე სიმაგრეები, რომელიც გაჰიმული იყო დიდ მანძილზე ამ მთის მეოთხე წვერისა და სანტმარტინოს კაკლესინს შუა. ამასთანავე ამ სიმაგრეების მფარველები თითქმის ყველა ტყვეთ წამოვიყვანეთ. ამის შემდეგ მტერმა სეტყვასავით დააყარა ყუმბარები დაკარგულ პოზიციებს სხვადასხვა ყალიბის ზარბაზნებიდან და შეეცადა კონტრიერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენმა ქვეითა ჯარმა მარჯვეთ დაიცვა შეძენილი პოზიციები. ჩვენმა ბატარეიამ ხშირი და მკვირცხლი ცეცხლი დაუშინა მტრის კალონებს და გაფანტა. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 514 ჯარისკაცი, მათ რიცხვში ბევრი ოფიცერია. ამას გარდა ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ბევრი სამხედრო სურსათი.

მტრის აეროპლანებმა ყუმბარები ჩამოყარეს ქ. არიეროში. ყუმბარებმა უმნიშვნელო ზარალი მოგვაყენა. ყუმბარები ჩამოყარეს აგრეთვე ქ. ალასში სადაც მოკვდა 4 ჯარისკაცი. ერთ ერთმა ჩვენმა საჰაერო რაზმმა ყუმბარები ესროლა მტრის აეროპლანების საამშენებლო საწყობს აიზოვიციაში. ჩვენს აეროპლანებს მტრის ბატარეიამ დაუშინა, მაგრამ უვნებლათ დაბრუნდენ.

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 ნოემბერს წაკითხული)

მაჰმადიანთა კულტურის ათას წლიურ განვითარებას ფეხდაფეხ მისდევდა საქართველოს ფრიად თავისებური ხასიათის განვითარება. თუ მაჰმადიანთა ქვეყანა განიცდიდა ერთგვარს სულიერ დაცემას, რაც ამ მოძღვრების სამეფოში ფეხი მოიკიდა სუფისთა ფილოსოფიამ, საქართველო ის ის იყო ეროვნულ აღორძინების ფაზაში გადადიოდა მეფე თეიმურაზისა, ვახტანგ VI და ირაკლი მეორის დროს. რუსები კი ამ დროს გაჯიქებით ძველს შეხედულებას არ სტოვებდენ ქართველთა შესახებ და კვლავ მათში ხედავდენ პირვანდელ მდგომარეობაში მყოფს აზიელს და თვით ჩამორჩენილნი სულიერად მას ზიზღით შეჰყურებდენ, ღირსად არ სცნობდნენ მასთან დაახლოვებასაც კი.

ყველაზე აშკარად ასეთი რუს კულტურტრეგერთა პსიხოლოგიის სახე გამოჩნდა ლერმონტოვის ცნობილ „დავში“, იალბუზის მწვერვალებიდან მგოსანი დაჰყურებს აზიელ ხალხს და რასა ჰხედავს? ზემოდ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ „მთვლემარე ქართველი აქაფებულ ღვინოს შარვალზე იქცევდა“, მაზე უკეთესად არ ეპყრობა სპარსელს, რომელიც წამოთხლეშილა ჭრელს სავარძელზე და თავის ცანცარით უდარდელად აბოლებს ჩიბუხს. შემდეგ აღვიწერს არაბებს და სხვა. აღმოსავლეთის ხალხთა ტოპოგრაფიულს ასეთ აღწერილობას დიდი პსიხოლოგიური მნიშვნელობა აქვს. სიზარმაცე, ფატალიზმი, განდეგილობა, წარსულის კულტი—ეს ხომ ყველა ის ხაზებია, რომლითაც საზოგადოთ დღემდე ჰხატავდნენ და ასურათებდნენ აღმოსავლეთს, როგორც რუსეთში, ისე დასავლეთ ევროპაში. თვით პესიმისტური დასკვნა, რასაც ამ სურათის შემდეგ დაადგება მკითხველი, რომ „რასაც კი თვალი აქით მისწვდება, სძინავს, სიჩუმეს მოუცავს იგი.

არა არ ძალუძს ბერ აღმოსავლეთს, რომ დაიმონოს გალაღებულიო“. ეს ის ფერადები გახლავთ, რასაც ასე ხშირად ვხვდებით დასავლეთ ევროპის მწერალთა ნაწერებში.

ვგონობ გადაჭარბებული არ იქნება, თუ საქვეყნოდ აღვიარებთ, რომ დასავლეთ ევროპის რომანტიკოსების მიერ ყველაზე მეტად ქართველი ქალი დაიჩაგრა. არასოდეს მწერლობასა და სინამდვილეს ასეთი კონტრასტები არ უნახავს, როგორც ამ შემთხვევაში. დასავლეთელთა მიერ დახატული ქართველი ქალი, განსაკუთრებით რუს მწერლებისაგან აწერილი სახე, იმდენად ზე ღვთაებრივია, გარეგნული შეხედულობით, რომ სულსა და გულს წარიტაცებს, მაგრამ რაღაა ეს სილამაზე, როდესაც ამ გარეგნულ მშვენიერების სამკაულში აუწერელი უკედ წარმოუდგენელი სიბილწე და გახრწნილება იმარხება!

ქართველი ქალის გარეგნულ სილამაზის აღწერილობაში დასავლეთ ევროპისა და რუსის მწერლები აღემატნენ თვით ქართველთა მწერლებს დაწყებული მოსე ჰონელიდან და გათავებული აკაკი წერეთლით. აქ მათ ამ მწერლებზე არა ნაკლებ მოიხმარეს აღმოსავლეთურ ლექსიკონის ნარნარი და მეტად მდიდრული ლექსიკონი. ქართველ ქალის სიტურფის დასახატად პუშკინი, ლერმონტოვი, პოლონსკი, თომას მორი, ბალმონტი თუ სხვები, რაღაც საოცარ მდიდრულ მეტაფორებს მიჰმართავდნენ, გაზვიადებულ მეტაფორებს, წარმოუდგენელ აღფრთოვანების ეპიტეტებს. ჯერ კიდევ მეXVII საუკ. მოგზაურები, როგორც მაგალითად, შარდენი, ამბობენ, რომ მეტი წილი ქართველებისა ისეთ მომაჯადოებელი სიტურფისა არიან, რომ მსგავსნი სხვაგან აღარსად მინახავო. მაზე მეტად აღფრთოვანებულია მეორე მოგზაური საეკლესიო წოდების პიროვნება, აბათი დელაპორი (1781 წ.) საქართველოში, მისი სიტყვით, ისევე ძნელია ულამაზო ქალს შეხვდეო, როგორც სხვა ქვეყნებში სრულის სიტურფით შემკულ მშვენიერ არსებას... შეუძლებელია ქართველ ქალს უყურო გულგრილად ისე, რომ გული არ აგიფეთქდეს, ვნებათა ღელვა არ მოგივიდეს... და სხვა და სხვა.

როდესაც ასეთი აღფრთოვანებული სტრიქონები წაიკითხეს რუსმა მწერლებმა, კავკასიაში მოხვედრისთანავე მოჰყვნენ ქართველი ქალის კულტების გარშემო საოცნებო გვირგვინის დაწვნას.

„ვინ შეედაროს, ქართველო ქალო,
შენსა სიტურფეს მშვენიერებით“.

პათეტიურად შესძახებს პუშკინი და დაწვრილებით აგვიწერს ქართველი ქალის „მაღალს შუბლს“, „მომაჯადოებელ თვალებს“, „ვნებიან მოხვევნას“, „შხამის დამწურებელ კოცნას“ თავის ცნობილ პოემაში „ბახჩი სარაის შადრევანი“.

ინგლისელი მგოსანი თომას მორი ქართველ ქალთა სილამაზეს აგვიწერს ისე, რომ ქართველი სულ არ უნახავს. მის ფერადებში ქართველი ქალი იხატება მეტად მიმზიდველ და სულის დამატკბობელ არსებად, რომელიც ერთგვარის შვებით ავსებს მნახველს. მაგრამ მწერალთა შორის, რა თქმა უნდა ქართველი ქალის გარეგნული სილამაზის აღწერილობაში ლერმონტოვს ვერვინ აღემატა, იგი პოეტურ სიყვარულით ეტრფის ქართველ ქალს. მის მიერ დახატული თამარ დედოფალი „ტურფაა, როგორც ცის ანგელოზი“, ასევე თვალის მომჭრელი სიტურფით სავსეა მეორე თამარი, გუდალის ქალი. იგი თვით ბოროტ სულს დემონს დაიმორჩილებს და შთააგონებს „ცას შეურიგდეს“ და უარჰყოს ძველი შურის ძიების განზრახვა, უარჰყოს თვისი „ამაყი ფიქრები“.

„მას შემდეგ, რაც რომ ქვეყნიერება
მოისწყდა სამოთხის მშვენიერებას,
ვფიცავ, ოჰ, ტურფავ, შენებრ კეკლუცი
არ გაფურჩქნულა სამხრეთ ცის ქვეშ...“

და განა ასევე არ მიჰმართავდნენ თამარ დედოფალს ქართველი მეხოტბენი? განა ისინიც იმას არამბობდნენ, რომ თამარი, არა თუ მზესებრ ანათებდა, არამედ თვით მნათობთაც კი ფერს უკარგავდა, რომ მის „სიტურფის წინაშე“ თვით ყვავილებიც კი „მონებდნენ“ და სხვა.

მაგრამ, რა წამს რუსი მწერლები მოჰყვებიან ქართველ ქალის პსიხოლოგიის აღწერილობას, მაშინათვე ყირამალა დგება მთელი სინამდვილის სრული სახე მათი პალიტრიდან უცნაური ფერადები ზავდება უმალ. აქ თქვენ ჰხედავთ ქართველ ქალს, როგორც ვერაგს შურის მაძიებელს, ვნებათა და ბიწიერების საჭურჭლეს, ნარნარ სილამაზის იქით, რუს მწერლების აზრით, იმალება მხეცური ლტოლვა. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა, რომ ლერმონტოვმა თვით თამარ დედოფალიც კი, ეს ქართველ დედოფალთა შორის უძლიერესი და სათაყვანო პიროვნება გარდაჰქმნა რაღაც ჯადოსან სირინოზად, მომადლო ბოროტი დემონის თვისებებით, რომელიც გამვლელ-გამომვლელს იწვევს თავის გერმის საწოლში მხოლოდ იმიტომ, რომ ვნება ჩაკვლის უმალვე თავი გააგდებინოს მათ.

ღია ბარათი

„სახალხო ფურცლის“ რედაქციას.

აგერ თითქმის ორი თვე სრულდება, რაც ქუთაისის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველო თქვენს პატივცემულ გაზეთს არ იღებს. მიუხედავათ იმისა, რომ ამის შესახებ წერილობითი განცხადება გამოვგზავნეთ რედაქციის სახელზე, მაგრამ დღემდის არაფერი პასუხი არ არის. თქვენს გაზეთს ხსენებულ სამკითხველოს უწერს ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილება. ჩვენ იძულებული ვართ ისედაც ღარიბ სამკითხველოს ხარჯით ყოველ დღე ვყიდოთ გაზეთი, ამიტომ მ. ხ. უმორჩილესათ გთხოვთ გაზეთის საშუალებით შეგვატყობინოთ:

რამდენი ხანია თქვენი გაზეთი მოუსპო სამკითხველოს? თუ არ გვიგზავნით, რა მიზეზია? თუ გვიგზავნით რამდენი ხანია განახლეთ გაზეთის გზავნა.

პატივისცემით სამკ. კომ. თავმჯდომარე
აკ. ნიშნიანიძე.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოთ

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დააკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Génève.

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— ღამის	—11 ს.	30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს.	5 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს.	38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს.	69 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს.	—
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს.	14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს.	20 წ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით ლ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. რიგიან ფასებში, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.